სიტუაციის ანალიზი

2011 წლის გაზაფხულზე საქართველოს მთავრობის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და ენერგეტიკის სამინისტროების ნაცვლად, შეიქმნა გარემოს დაცვის სამინისტრო და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. ამ უკანასკნელს ყოფილი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები გადაეცა: გარემოს დაცვის ინსპექცია, საგამოძიებო დეპარტამენტი და სსიპ სატყეო სააგენტო. ეს ერთეულები მოგვიანებით დაიშალა. ახალ სამინისტროში ჩამოყალიბდა სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტო. სააგენტოს გადაეცა ტყის მართვის ფუნქციები, ასევე, მის მმართველობაში შევიდა ნადირობის, თევზჭერისა და სასარგებლო წიაღისეულის მართვის საკითხები (სალიცენზიო კვოტების დადგენა, სალიცენზიო პირობების შემოწმება და ა.შ.) გარდა ამისა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ჩამოერთვა და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გადაეცა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლების გაყიდვის ფუნქცია.

ამრიგად, ახალი სამინისტროს ხელში თავი მოიყარა ბუნებრივი რესურსების (მინერალური წიაღისეული, წყალი, ცხოველთა სამყაროს ობიექტები (ნადირობა, თევზჭერა), ტყე, არამერქნული რესურსები) მართვასთან დაკავშირებულმა შემდეგმა ფუნქციებმა: სარგებლობის კვოტებისა და პირობების დადგენა, სალიცენზიო/საიჯარო ობიექტების მომზადება, ლიცენზიების გაყიდვა, ლიცენზიების კონტროლი, უკანონო სარგებლობის აღკვეთა.

რეფორმის განხორციელებამდე ენერგეტიკის სამინისტრო წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად და ძლიერ ბარიერს გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებისათვის, მათ შორის, ახალი დაცული ტერიტორიების დაარსებისათვის. გასულ წელს, ენერგეტიკის სამინისტროს ინიციატივით, მინისტრთა კაბინეტის მიერ უარყოფილ იქნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მომზადებული: რაჭის ეროვნული პარკისა და ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის შექმნის კანონ-პროექტები; ფარავანისა და საღამოს ტბებზე რამსარის კონვენციით დაცული საიტებისა და დაცულ ტერტორიების შექმნის წინადადებები.

მას შემდეგ, რაც ენერგეტიკის სამინისტროს დაექვემდებარა ტყეებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების საკითხები, მას გაცილებით მეტი ძალაუფლება მიეცა გარემოსდაცვითი პროექტების შესაჩერებლად. ამის თაობაზე შეშფოთებას გარემოსდაცვითი ორგანიზაციები მთავრობის სტრუქტურის რეფორმის დაგეგმვის სტადიაზევე გამოთქვამდნენ, თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ ამ სტრუქტურული რეფორმების შედეგად, გარემოს დაცვის სამინისტრო უფრო გაძლიერდებოდა და „წმინდა გარემოსდაცვითი უწყება“ გახდებოდა. სამწუხაროდ, არანაირი ნიშანწყალი გარემოსდაცვითი უწყების გაძლიერებისა დღემდე არ ჩანს; სამინისტრო დღეს გაცილებით ინერტული და სუსტია, ვიდრე რეფორმებამდე იყო.

სამაგიროდ, საბოლოოდ დაირღვა ბალანსი გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებას შორის, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 2011 წლის ზაფხულის დასასრულს, როდესაც ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ რამოდენიმე ინიციატივა გაახმოვანა:

1. ტყის სექტორის რეფორმა და ახალი სატყეო კანონმდებლობის ინიცირება
2. წითელ ნუსხასა და დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული კანონმდებლობის ცვლილებები;
3. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული რეგულაციების გამარტივება;
4. გარემოზე ზემოქმედების შეფასების გარეშე ერთდროულად რამდენიმე მსხვილი ინფრასტრუქტურული და ენერგო-პროექტის ინიცირება და დაწყება.

5. დაცული ტერიტორიების მარეგულირებელი კანონმდებლობის ცვლილება, იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს ეროვნულ პარკებში გარემოსათვის საზიანო სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

ყველა აღნიშნული ინიციტივა ერთი სცენარის ნაწილია, რომელსაც ერთობლიობაში შეიძლება საქართველოს ბუნებაზე თავდასხმა ეწოდოს. ცვლილებები ძალზე სწრაფად და გაუმჭვირვალედ მიმდინარეობს, რაც აჩენს საფუძველს ვიფიქროთ, რომ დაკავშირებულია არიან კონკრეტული ფინანსური ინტერესების ლობირებასთან.

ქვემოთ მოკლედ მიმოხილულია თითოეული ინიციატივა:

1. <u>ტყის რეფორმა და ახალი სატყეო კანონმდებლობა</u>

ამ ინიციატივის შესახებ დაინტერესებული საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა 2011 წლის ივლისის ბოლოს, როდესაც მინისტრმა ხეთაგურმა მედიის წარმომადგენლებთან გააკეთა განცხადებები. მინისტრის თანახმად, ადგილობრივი მოსახლეობისათვის იხსნებოდა ყველანაირი შეზღუდვა და მათ ნებისმიერი ოდენობით შეეძლებოდათ საკუთარი საჭიროებისათვის საშეშე და სამასალე მერქნის მოპოვება; გარდა ამისა, უკვე აგვისტოდან დაიწყებოდა ტყის მასივების გაყიდვა 49-წლიანი იჯარით.

მედიის საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაციებმა განმარტებებისათვის მიმართეს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს და მოუწოდეს გაემართა საჯარო შეხვედრა ამასთან დაკავშირებით. საპასუხოდ, სამინისტრომ მხოლოდ რამოდენიმე ორგანიზაცია მიიწვია 4 აგვისტოს სასტუმრო მეტეხი პალასში გამართულ შეხვედრაზე, სადაც მინისტრმა ისაუბრა სატყეო რეფორმისა და სამომავლო გეგმების თაობაზე. სამინისტრომ უარი უთხრა ჟურნალისტებს, რომლებმაც შეხვედრაზე დასწრების თხოვნით მიმართეს.

<u>ქვემოთ წარმოდგენილია 2011 წ. 4 აგვისტოს შეხვედრის ზოგიერთი დეტალი: Minutes of the meeting:</u>

შეხვედრაზე მინისტრმა განაცხადა, რომ სამინისტროში იმ დროისათვის არ არსებობდა რაიმე დოკუმენტი (რეფორმის კონცეფცია, კანონპროექტი და სხვ.), შესაბამისად ამ ეტაპზე ვერანაირ საჯარო ინფორმაციას ვერ გასცემდნენ. მინისტრმა წარმოადგინა პრეზენტაცია და ისაუბრა დაგეგმილ ქმედებებზე.

<u>ძირითადი საკითხები მინისტრის პრეზენტაციიდან:</u>

ძირითადი პრობლემა ტყეებთან მიმართებაში ტყის უკანონო ჭრაა. ამ პრობლემის მოგვარება სამინისტრომ დაიწყო არა ტყეში კონტროლის და დაცვის გაძლიერებით, არამედ გასაღების ბაზრის კონტროლის, ტრანსპორტირებისა და სახერხების კონტროლის გამკაცრებით. ამ მიზნით, უკვე შემოღებულია ელექტრონული ჩიპები, რომლითაც გაკონტროლდება მრგვალი მორების ტრანსპორტირება; შემოღებულია სპეციალური ანგარიშ-ფაქტურები, რომლითაც გაკონტროლდება/ აღირიცხება მრგვალი მორის შესვლა სახერხებში; შეიქმნება ერთიანი ელექტრონული სისტემა, რომელზეც წვდომა ექნება როგორც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს (საგადასახადო და საბაჟო უწყებები), ისე ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს[1].

მერქნის მოპოვება დაიყო ორ კატეგორიად: სოციალური ჭრები და კომერციული ჭრები.

[1] ასეთი ტიპის კონტროლს ექვემდებარება როგორც სოციალური, ისე კომენციული ჭრით მოპოვებული სამასალე ხე-ტყე. საშეშე მერქანი დაჭრილი უნდა იყოს 1-მეტრიან მორებად.

სოციალური ჭრები ეწოდება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საშეშე და სამასალე მერქნის დამზადებას პირადი მოხმარებისთვის. მოიხსნა ყოველგვარი შეზღუდვა საშეშე და სამასალე მერქნის რაოდენობასთან დაკავშირებით: ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელს შეუძლია იმდენი სამასალე და საშეშე მერქანი მოჭრას, რამდენიც მოესურვება. გამარტივდა ჭრის უფლების მოპოვების პროცედურები. სოციალური ჭრისათვის ადგილობრივ მოსახლეებს შეეძლებათ სწრაფი გადახდის აპარატებიით (Pay box) გადაიხადონ და მიიღონ ჭრის ნებართვა, სადაც მითითებული იქნება: მფლობელის პირადი მონაცემები, გადახდილი თანხის ოდენობა, მოსაჭრელი მერქნიანი სახეობის დასახელება და ოდენობა, ტყეკაფის მდებარეობა, ტყეკაფის მოქმედების ვადები, ტყეკაფის მომსახურე სააგენტოს თანამშრომლის მონაცემები. კერძო საკუთრების ტერიტორიაზე მოპოვებულ ხე-მცენარეზე ცნობას გასცემს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. სოციალური ჭრებისთვის ტყეკაფის გამოყოფის ვალდებულება დაეკისრება ტყის იჯარის მფლობელს.

იკრძალება: სოციალური ჭრით მოპოვებული მერქნისა და მისგან მიღებული მასალის ნებისმიერი ფორმით გაყიდვა; სამასალე ხე-ტყის (მორის) ტრანსპორტირება და ასევე სახერხზე მიღება და გადამუშავება ელექტრონული ჩიპის და ხე-ტყის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე (აკრძალვები ვრცელდება როგორც სოციალურ, ისე კომერციულ ჭრებზე).

კომერციულ ჭრებთან დაკავშირებით დაგეგმილია სერიოზული ცვლილებები. რეფორმის ოფიციალური მიზანი შემდეგია: გარემოსდაცვით და სოციალურ ფაქტორებთან დაბალანსებული ეკონომიკური ბრუნვის გაზრდა; სატყეო ფართობზე არსებული რესურსების ეფექტური ათვისება; ტყის რესურსის ეტაპობრივი ზრდა. მომზადდება ახალი ტყის კოდექსი და კანონქვემდებარე აქტები; რეგულაციები დაეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტების სისტემას; იჯარის მფლობელებისთვის სავალდებულო იქნება სატყეო სამეურვეო საბჭოს - Forest Stewardship Council (FSC) მოთხოვნების დაკმაყოფილება. ადმინისტრირების სისტემა გამჭირვალე და მარტივი იქნება.

<u>რეფორმის ძირითადი ქმედებები (ამოცანები):</u> სატყეო ფართობის გრძელვადიან მმართველობაში გადაცემა (იჯარა) 49 წლის ვადით, შემდგომი გაგრძელების ექსკლუზიური უფლებით; საქართველოს მთელი ტყეები, რომლებიც არ შედიან დაცული ტერიტორიების ტყის ფონდში ან არ არიან გაცემული ხე-ტყის დამზადების ხანგრძლივვადიანი ლიცენზიებით - დაახლოებით 1 800 000 ჰა - დაიყოფა მდინარეების აუზების მიხედვით საიჯარო აუქციონის ლოტებად. კონკრეტული მდინარის აუზი იჯარით გადაეცემა იმ ინვესტორს, ვინც იკისრებს ყველაზე მაღალ ყოველწლიურ საიჯარო გადასახადს. არსებული სალიცენზიო სისტემისგან განსხვავებით ინვესტორი აღარ გადაიხდის მილიონობით ლარს ლიცენზიის აღებისას (როიალტი), ბუნებრივი რესურსით სარგებლობის უფლების მოპოვებისათვის. საიჯარო ქირის გადახდა დაიწყება მხოლოდ 1-2 წლის შემდეგ. აუქციონიდან პირველი ორი წლის განმავლობაში ტყის მოიჯარეს არ აქვს უფლება მოჭრას ხე და არც იჯარის ქირას იხდის. ის ვალდებულია შეისწავლოს იჯარით აღებული ტერიტორია და შეადგინოს მართვის გეგმა. გეგმა უნდა მომზადდეს FSC სტანდარტების მიხედვით და დამტკიცდეს ამ ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებული აუდიტის მიხედვით.

მოიჯარეს ექნება შემდეგი ვალდებულებები:

- სატყეო ფართობის მოვლა, ტყის გაწმენდა, სანიტარული ჭრების ჩატარება, დაავადებათა პრევენცია; ინფრასტრუქტურის მოწყობა; ტყის დაცვა ხანძრის, ეროზიის და სხვა მავნე ზეგავლენისაგან; დაცვა უკანონო საქმიანობისაგან; ტყის განახლება (პრინციპი: 1 მოიჭრა, 3 დაირგო);

- მოსახლეობის დაუბრკოლებელი დაშვება ტერიტორიაზე დასვენების, ფიჩხის, კენკრის, სოკოს, შეგროვების, ასევე სხვა არალიცენზირებადი რესურსის მოპოვების მიზნით (მაგ., სპორტული

თევზჭერა) და საქონლის ძოვების მიზნით (გამონაკლისი - ტყის განახლების ადგილები); სოციალური ჭრებისთვის ტყეკაფების გამოყოფა და იქ მისასვლელი გზების უზრუნველყოფა; ჭრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

დარღვევების აღმოჩენის და მათი გამოუსწორებლობის შემთხვევაში, მოიჯარეს შეუწყდება ხელშეკრულება. მოიჯარის მიერ ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სააგენტო ახორციელებს ვალდებულებას (მაგ., დარგავს ხეებს, თუ ამას მოიჯარე არ გააკეთებს) და მოიჯარეს აანაზღაურებინებს გაწეულ ხარჯს.

მოიჯარეს უფლება ექნება: ისარგებლოს ფართობზე არსებული ბუნებრივი რესურსებით (არა მხოლოდ მერქნული რესურსები), მათ შორის, წიაღისეული რესურსებით; განავითაროს სხვადასხვა საქმიანობა/ინფრასტრუქტურა, მაგალითად: თევზის და სამონადირეო მეურნეობის წარმოება, ტურისტული ინფრასტრუქტურა; მიწის დამუშავება (სასოფლო/სამეურნეო მიზნით); პლანტაციური მეურნეობა და სხვა. მოიჯარეს ასევე ექნება უფლება, სამინისტროსთან შეთანხმებით, ტერიტორიების ქვეიჯარით გასცეს;

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, მინისტრმა, დამაზუსტებელი კითხვების საპასუხოდ, გააკეთა შემდეგი განმარტებები:

- მოიჯარეს უფლება ექნება, ტყითსარგებლობის მიზნით, იჯარით აღებულ ფართობზე დაიწყოს წიაღის მოპოვება, თუ ასეთი ნედლეული აღმოჩნდება;
- დაიშვება პირწმინდა ჭრები ბუნებრივ ტყეებში, სამაგიეროდ, იჯარის მფლობელი ვალდებული ქნება დარგოს ხეები;
- გაუქმდება აკრძალვები, რომლებიც დაკავშირებულია დიდი დაქანების ფერდობებზე ტყის ჭრასთან;
- მომავალში დაცული ტერიტორიები აღარ შეიქმნება, ვინაიდან არსებული დაცული ტერტორიები ისედაც საკმარისია. არსებული დაცული ტერიტორიები ხელს უშლის ჰესებისა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. ტყის დარჩენილი ფართობები მთლიანად გაიცემა იჯარით 49 წლის ვადით, იჯარის გაგრძელების ექსკლუზიური უფლების მინიჭებით და იჯარის მფლობელი უკეთ გადაწყვეტს, რა არის დასაცავი.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ასეთი რეგულაციები არსებობს ავსტრიის ტყის კოდექსში და თუ ვინმე ეტყვის, რომ ეს დაუშვებელია, ის მიუთითებს შესაბამის მუხლს ავსტრიის და გერმანიის კანონმდებლობაში. მან აღნიშნა, რომ ავსტრიაში, რასაც ბუნებრივ ტყეს ეძახიან, სინამდვილეში 200 წლის წინ ხელოვნურად გაშენებულია და ამით არაფერი არ შავდება.

მინისტრი დაპირდა შეხვედრის მონაწილეებს, რომ მართალია იმ დროისათვის არაფერი არ არის დაწერილი, მაგრამ აგვისტოს ბოლოსათვის მზად იქნებოდა ახალი კანონმდებლობა, რომელიც გავრცელდებოდა საჯარო განხილვებისთვის. განხილვების შემდეგ, მთავრობა პარლამენტს გადაუგზავნიდა პროექტს შემდგომი განხილვისა და დამტკიცებისათვის.

შეკითხვაზე, თუ რამდენად იქნა გათვალისწინებული 2006-2007 წლებში ინიცირებული სატყეო რეფორმისას დაშვებული შეცდომები და ხარვეზები, მინისტრმა განაცხადა, რომ ყველაფერი გათვალისწინებულია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განხილვაში, როგორც რეფორმის იდეის ერთ-ერთი ავტორი, აქტიურად მონაწილეობდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ყოფილი მინისტრი დავით ჩანტლაძე, რომელიც 2006-2007 წლებშიც იყო სატყეო სექტორის „რეფორმის“ მთავარი ავტორი.

დამსწრეთა მხრიდან გაკეთდა შენიშვნა, რომ FSC-ის სტანდარტების მიხედვით მართვის გეგმის მომზადებისა და აუდიტის სავალდებულო მოთხოვნები ჩადებული იყო 2007-08 წლებში გაცემული 20

წლიანი ლიცენზიების მოთხოვნებშიც, მაგრამ ლიცენზიების გაყიდვიდან ორ თვეში ეს მოთხოვნები გაუქმდა, ხოლო ლიცენზიების ძირითადი ნაწილის მფლობელები ყოფილი საჯარო მოხელეები აღმოჩნდნენ. პასუხად მინისტრმა განაცხადა, რომ ადრე ეს მოთხოვნა დამტკიცებული იყო მთავრობის დადგენილებით, ხოლო ახლა კანონით დამტკიცდება, რაც გარანტია იქნება იმისა, რომ საიჯარო პირობები არ შეიცვლება.

კიდევ ერთი მსგავსება 2007 წლის რეფორმებსა და ახლანდელს შორის: მაშინ რეფორმის მთავარი მოქმედი პირები იყვნენ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პირველი მოადგილე დავით ჩანტლაძე, სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე ზვიად ჭეიშვილი და FSC-ის დირექტორი ჰეიკო ლიდეკერი. 20-წლიანი ლიცენზიების გაცემას წინ უძღვოდა მემორანდუმის დადება სატყეო დეპარტამენტსა და FSC-ის შორის. ამჟამად, იგივე ჰეიკო ლედეკერი და დავით ჩანტლაძე ღიად მონაწილეობენ ახალი სატყეო კანონმდებლობის შედგენაში.

2011 წლის 5 სექტემბერს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაუგზავნა რამდენიმე ორგანიზაციის წარმომადგენელს ტყის კოდექსისა და გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულების პროექტები ინგლისურ ენაზე. სამინისტროს წერილის მიხედვით, აღნიშნული სამუშაო დოკუმენტების განხილვისთვის დაგეგმილი იყო არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეხვედრის ჩატარება მიმდინარე წლის 15 სექტემბერს, შეხვედრის ადგილი და დრო მოგვიანებით დაზუსტდებოდა.

საპასუხოდ არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეშფოთება გამოხატეს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის განხილვისათვის არ იყო დაცული საჯაროობის ელემენტერული წესები. მათ უარი განაცხადეს შეხვედრაში მონაწილეობაზე, სანამ არ დაკმაყოფილდებოდა ელემენტარული მოთხოვნები; კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციები მოითხოვდნენ, რომ:

1. გამოქვეყნებულიყო საჯარო განცხადება ტყის კანონმდებლობის პროექტის განხილვის შესახებ;
2. განსახილველი დოკუმენტები გამოქვეყნებულიყო სახელმწიფო ენაზე;
3. დადგენილიყო გონივრული ვადები დოკუმენტების განხილვისა და კომენტარების წარდგენისთვის.

ამასთანავე, გაჩნდა ეჭვი, რომ შესაძლებელია, სამინისტრომ დაინტერესებული მხარეების ვიწრო წრესთან ასეთი შეხვედრები წარმოაჩინოს, როგორც ოფიციალური (ფორმალური) საჯარო განხილვები. ყურადსაღებია, რომ სამინისტრომ ვერანაირი ლოგიკური ახსნა ვერ მოუძებნა იმას, თუ რატომ ჩქარობდა ასე ახალი კანონის მიღებას; ეს კი ბადებდა ეჭვს, რომ არსებობს კონკრეტული პირებისთვის გაწეული დაპირება ნახევარი საუკუნით ტყეების გადაცემის შესახებ.

მინისტრის მოადგილის ნინო ენუქიძის განმარტება (ელექტრონული მიმოწერა არასამთავრობო ორგანიზაციებთან): განსახილველი დოკუმენტი საბოლოო ჯამში ქართულ ენაზე წარედგინება საქართველოს პარლამენტს და დადგენილი წესით იქნება განხილული, მაგრამ ვინაიდან ტექსტის შედგენასა და დამუშავებაში მონაწილეობენ ავსტრიელი და გერმანელი ექსპერტები, ძალზე რთულია მათთან ქართულ ენაზე მუშაობა. ამასთან, იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, სასურველია დოკუმენტი ერთ ენაზე იქნეს შესრულებული, რათა მასზე მუშაობა არ გართულდეს და დროში არ გაიჭიმოს.

საზოგადოების არასაკმარის ინფორმირებასთან დაკავშირებით გამოთქმული უკმაყოფილების საპასუხოდ (მხოლოდ ინგლისურ ენაზე შეზღუდული რაოდენობის ორგანიზაციებისათვის დოკუმენტის დაგზავნა), მინისტრმა შეხვედრა დანიშნა 6 სექტემბერს, ანუ დოკუმენტების გამოქვეყნებიდან მეორე დღეს. შესაბამისად, მინისტრთან ამ შეხვედრაზე მხოლოდ ერთი ორგანიზაცია მივიდა. ამის გამო, მინისტრმა ხეთაგურმა განაცხადა, რომ ტექსტი მხოლოდ პარლამენტში შეტანის წინ ითარგმნებოდა და დებატებიც მხოლოდ პარლამენტში გაიმართებოდა.

ამ ფაქტის შემდეგ, ბევრმა ორგანიზაციამ და კერძო პირმა მიმართა სამინისტროს დოკუმენტაციის მოთხოვნისა და საჯარო განხილვებში ჩართვის მოთხოვნით.

13 სექტემბერს ისევ მხოლოდ შერჩეულ ორგანიზაციებს გაეგზავნათ ტყის კოდექსისა და გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულების პროექტები ინგლისურ ენაზე და მხოლოდ ტყის კოდექსის პროექტი ქართულ ენაზე და ეცნობათ, რომ შეხვედრა გაიმართებოდა 15 სექტემბერს 11 საათზე, „შერატონ მეტეხი პალასში“.

ამრიგად, განსახილველი დოკუმენტები შეზღუდული რაოდენობით არასამთავრობო ორგანიზაციას დაეგზავნათ ორჯერ: 5 სექტემბერს (6 სექტემბერს დანიშნული შეხვედრის წინა დღეს, მხოლოდ ინგლისურ ენაზე) და 13 სექტემბერს (15 სექტემბრის შეხვედრამდე ერთი დღით ადრე, მხოლოდ კანონის პროექტი ქართულად, ხელშეკრულების პროექტი და კანონის პროექტი - ინგლისურად). საჯაროობის ასეთი დაბალი დონისა და დოკუმენტების განხილვისათვის გამოყოფილი არაგონივრული ვადის გამო, არ მოხდა არასამთავრობო ორგანოზაციების ფართო მონაწილეობა შეხვედრებში.

<u>ქვემოთ წარმოდგენილია 2011 წ. 15 სექტემბერს გამართული შეხვედრის ზოგიერთი ყურადსაღები დეტალი:</u>

2011 წლის 15 სექტემბერს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინიციატივით ჩატარდა შეხვედრა ტყის კოდექისა და გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულების პროექტებთან დაკავშირებით. შეხვედრას ესწრებოდნენ დონორი ორგანიზაციების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, საელჩოების, ევროკავშირის დელეგაციის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სხდომას უძღვებოდა და დისკუსიას ძირითადად წარმართავდა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური. კანონპროექტს წარმოადგენდა და კითხვებს მინისტრთან ერთად პასუხობდა ექსპერტი პეტერ ჰერბსტი.

შეხვედრის შესახებ მინისტმა შემდეგი განაცხადა: ეს არ არის საჯარო განხილვა, ეს არის სამუშაო, ტექნიკური შეხვედრა, წარმოდგენილი იქნება ახალი ტყის კოდექსის ძირითადი პრინციპები (არ იქნება მუხლობრივი განხილვა) დონორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ზოგადი თვალსაზრისის მოსასმენად. მომავალში დაინიშნება საჯარო განხილვები და დაინტერესებული პირების უფრო ფართო წრე იქნება ამ პროცესში ჩართული. საჯარო განხილვის შემდეგ წარიმართება პოლიტიკური პროცესი პარლამენტში.

მინისტრის განცხადებით, დოკუმენტზე მუშაობა დაახლოებით 3-4 თვის განმავლობაში მიდიოდა. ძირითადი ექსპერტების ავტობიოგრაფიები მოწოდებულია (პიტერ ჰერბსტი, ჰეიკო ლიდეკერი). წარმოდგენილი პროექტი შემუშავდა ავსტრიის მოდელის მიხედვით, ხოლო ავსტრიის მოდელი შეირჩა იმ მიზეზით, რომ ახლოს ვართ როგორც ტყის საერთო რესურსით, ასევე მაღალმთიანი რაიონების არსებობით, ტერიტორიის ფართობით და ერთ სულ მოსახლეზე ტყის რესურსით. ავსტრიული მოდელი ერთ-ერთი სრულყოფილია ევროპაში.

ძირითადი პრეზენტაცია წარმოადგინა ძირითადმა ექსპერტმა პიტერ ჰერბსმა. პრეზენტაცია ეხებოდა უშუალოდ ტყის კოდექსთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს როგორიცაა: ტერმინების განმარტება, ტყის დაცვის მნიშვნელობა, ტყეების კლასიფიცირება ფუნქციის მიხედვით, ტყეების დაცვა მავნებლებისაგან, ხარჯები, ხის ჭრის რეგულირება, ტყის დაცვა ხანძრებისგან, ტყის აღდგენის და ტყითსარგებლობის სხვა საკითხები.

პრეზენტაციის შემდგომ გაიმართა კითხვა–პასუხი და დისკუსია.

საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელმა შტეფან შტორკმა გამოთქვა შეშფოთება ტყის კოდექსის პროექტის განხილვის საჯაროობის ხარისხთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ პროცესი უნდა შეესაბამებოდეს ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებს და მოუწოდა სამინისტროს არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო წრისა და ადგილობრივი ხელისუფლების/მოსახლეობის მეტი ინფორმირებისა და ჩართვისკენ. მან ითხოვა განმარტება, თუ რა ზეგავლენას იქონიებს ახალი ტყის კოდექსი გარემოსდაცვითი, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით. მან განაცხადა, რომ კოდექსი უფრო მეტად უნდა დაახლოებოდა მდგრადი განვითარების პრინციპებს. განაცხადა, რომ ევროკავშირთან ასოცირებულ შეთანხმებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები საქართველოს ავალდებულებს, ასახოს ახალ ტყის კოდექსში გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ევროკავშირის ხუთი დირექტივის მოთხოვნები. მან ასევე განაცხადა რესურსების წინასწარი ინვენტარიზაციისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების აუცილებლობის შესახებ.

მინისტრმა ხეთაგურმა არ მიიღო კრიტიკა საჯაროობასთან დაკავშირებით. მინისტრმა არაერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, შეხვედრაზე გამოუცხადებლობის გამო და არასამთავრობო ორგანიზაციები უსაფუძვლო პოლიტიკური განცხადებების კეთებაში დაადანაშაულა. მან ასევე გააკრიტიკა დონორები იმაში, რომ ისინი ისევ და ისევ ეყრდნობიან არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერპრეტაციებს. მისი აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციები ორიენტირებული უნდა იყვნენ დოკუმენტების ტექნიკური საკითხების განხილვაზე და არ უნდა აკეთებდნენ უსაფუძვლო პოლიტიკურ განცხადებებს, რომლის მომსწრეც, მისი თქმით, ის არაერთხელ გახდა ბოლო ორი კვირის მანძილზე.

მინისტრის განმარტებით, ორჰუსის კონვენცია გულისხმობს იმ დოკუმენტის გამოქვეყნებას, რომელიც განხილულ უნდა იქნეს პარლამენტში. ვინაიდან ტყის კოდექსის პროექტი არ არის იმ დონეზე, რომ განხილული იყოს პარლამენტში და ჯერჯერობით ის არც საჯაროდ გამოქვეყნებულა.

მინისტრმა კიდევ ერთხელ განმარტა, თუ რატომ იქნა დოკუმენტი წარდგენილი ინგლისურად და რატომ ტარდება განხილვა ასევე ამ ენაზე. მისი აზრით, ინგლისური საერთო ენაა, ყველას ესმის; კონცეპტუალური და არა მუხლობრივი განხილვისთვის, ასე იყო მიზანშეწონილი. მისი რწმენით, დღეისათვის ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი კარგად ფლობს ინგლისურს (მინისტრი დარწმუნებულია, რომ სხვაგვარად, ისინი ვერ მოიპოვებდნენ გრანტებს დონორებისგან). ამდენად ის საგანგაშოს ვერაფერს ხედავს იმაში, რომ ინგლისურად იყო წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

მან განახცადა, რომ მისი პრინციპებია: (1) კანონი საჯაროდ იქნეს განხილული და (2) სრულად შეესაბამებოდეს ევროკავშირის დირექტივებს. თუმცა, მინისტრის განცხადებით, ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ ევროკავშირის დირექტივები არ უნდა იქნეს ასახული ევროკავშირის კანონმდებლობაში. მან განაცხდა, რომ ავსტრიის მოდელი იმის გამო იქნა აღებული ბაზისად, რომ უფრო მაქსიმალურად დავახლოვებოდით ევროკავშირის მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, უნდათ თუ არა ეს არასამთავრობოებს, ყველა დირექტივა ევროკავშირისა იქნება მაქსიმალურად დაცული.

მიუხედავად ამ განმარტებისა, შეხვედრაზე განსახილველად წარმოდგენილ ტყის კოდექსის პროექტში ევროკავშირის დირექტივებისა და გარემოსდაცვითი მოთხოვნების ასახვის საკითხი ხანგრძლივი დებატების საგანი გახდა. პიტერ ჰერბსტმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ ეს არის ტყის კოდექსი და არა გარემოსდაცვითი კოდექსი და იურიდიული თვალსაზრისით გაუმართლებელია მასში გარემოსდაცვითი მოთხოვნებისა და ევროკავშირის გარემოსდაცვითი დირექტივების ასახვა. ევროკავშირის დირექტივები არის გარემოსდაცითი რეგულაციების საკითხი და არა ტყის რეგულაციების საკითხი. დებატების დროს მინისტრმა მხარი დაუჭირა ამ პოზიციას.

ინვენტარიზაციის შესახებ მინისტმა აღნიშნა, რომ ის უნდა ჩააატაროს მოიჯარემ. აზრი არ აქვს სახელმწიფომ ფული ხარჯოს ინვენტარიზაციაში და მერე გაყიდოს ტყე, ვინაიდან ყიდვის მერე მოიჯარე ისევ ჩაატარებს ინვენტარიზაციას. ინვენტარიზაცია უნდა ჩაიბაროს სახელმწიფომ და მის განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები. ნებისმიერ შემთხვევაში, მთავრობა არ აიცილებს პასუხისმგებლობას ინვენტარიზაციის ხარისხთან დაკავშირებით. თუ ვინმე სახელმწიფოს გამოუყოფს გრანტს ინვენტარიზაციისთვის, ის მოხარული იქნება, მაგრამ წინააღმდეგია, რომ ამაში დაიხარჯოს სახელმწიფოს ფული.

პროცესი წარიმართება შემდეგი თანამიმდევრობით: ჯერ მოხდება მთელი საქართველოს ტერიტორიის ზონირება. ეს არის პოლიტიკური ინსტრუმენტი/პროცესი და მას განახორციელებს სახელმწიფო, ეს არის სახელმწიფოს კომპეტენცია. ამის შემდებ მოხდება ტყეების იჯარით გაცემა. მოიჯარე ჩაატარებს ინვენტარიზაციას, რომლის შედეგებს განიხილავს სახელმწიფო. სახელმწიფოს მიერ ინვენტარიზაციის შედეგების მოწონების შემთხვევაში, მოიჯარე მოამზადებს მენეჯმენტის გეგმას, რომელსაც ასევე განიხილავს და დაამტკიცებს სამინისტრო. მხოლოდ ამის შემდეგ ექნება მოიჯარეს უფლება განახორციელოს ტყითსარგებლობა.

ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა დავით თარხნიშვილმა და სხვა მონაწილეებმა გაამახვილეს ყურადღება იმაზე, რომ ავსტრიისაგან განსხვავებით, საქართველოში ტყეების დიდი ნაწილი პირველადი, ხელუხლებელი სახით არის შემონახული, ამიტომ საკითხი მოითხოვს დიდ ყურადღებას: რეფორმის მიმდინარეობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საკითხები.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ევროპაში ფაქტიურად აღარ არის ქალწულებრივი ტყეები და როდესაც ჩვენც მივალთ ევროპის დონეზე და მშიერი აღარ გვეყოლება არავინ, მაშინ შეიძლება მივხედოთ ქალწულ ტყეებს. დღესდღეობით კი არ უნდა დავრჩეთ განვითარებად ქვეყნად, არ უნდა შემოვფარგლოთ დიდი ფართობები და გამოვაცხადოთ დაცულ ტერიტორიებად, რომ ჩვენ თავად დაგვაკვირდნენ გარედან. ჩვენ უნდა ვიპოვოთ ოქროს შუალედი ეკონომიკასა და ეკოლოგიას შორის და ამ ოქროს შუალედზე ვიაროთ.

მინისტრი ასევე შეეხო დაცული ტერიტორიების ზრდის საკითხებს და განაცხადა, რომ წინააღმდეგია დაცული ტერიტორიების ზრდისა იქ, სადაც ეს დაუსაბუთებელია. ის დაეთანხმება მხოლოდ იმ ადგილზე დაცული ტერიტორიის შექმნას, სადაც მოსახლეობა მიიღებს ამის გადაწყვეტილებას და არა გარემოს დაცვის სამინისტრო და არასამთავრობო ორგანიზაციები. ის დაცული ტერიტორიის შექმნას დაეთანხმება, იქ სადაც მეცნიერულად იქნება დასაბუთებული და მოსახლეობასთან შეთანხმებული. აქამდე არასოდეს ყოფილა მოსახლეობასთან შეთანხმებული დაცული ტერიტორიების შექმნის საკითხი და გაუგებარია, რატომ უნდა იქნეს მხოლოდ ტყეების გაყიდვის საკითხი შეთანხმებული?

მისთვის ასევე გაუგებარია პოტენციური დაცული ტერიტორიების ნუსხის არსებობის საჭიროება. მინისტრმა უარყოფით მაგალითად მოიყვანა თუშეთი, სადაც მისი თქმით, ტყე კარგ მდგომარეობაშია მხოლოდ ეროვნული პარკის ფარგლებს გარეთ; ეროვნულ პარკში კი, ტყე ცუდ მდგომარეობაშია, იმის გამო, რომ სანიტარული ჭრები არ მიმდინარეობს, ხეები ბუნებრივად იქცევა, ლპება და ქმნის მეწყერების საშიშროებას.

კითხვაზე, ჩატარდა თუ არა კონსულტაციები ადგილობრივ მოსახლეობესთან ტყეების იჯარით გაცემის თაობაზე, მინისტრმა განაცხადა, რომ სამინისტრო მომავალში აპირებს ასეთი კონსულტაციების გამართვას.

ექსპერტმა პიტერ ჰერბსმა აღნიშნა, რომ ზუსტად არ იცნობს ქართულ ტყეებს, ამ პროცესისათვის რამოდენიმე წელია საჭირო, ამიტომ ამ სპეციფიკაში არ ერკვევა. ასევე აღნიშნა, რომ არ არსებობს 100%-ით კარგი კანონი, მაგრამ თუ ის 70-80%-ით კარგია, აუცილებლად გატარდება.

მინისტრი გამოეხმაურა რამდენჯერმე გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პროცესი ძალიან დაჩქარებულია. მან განაცხადა, რომ სწორედ იმის გამო, რომ არავის არსად ეჩქარებოდა, ტყეების 90% უკანონოდ იჩეხება და ეს არის უმოქმედობის ბრალი. მან რამდენჯერმე ბრალი დასდო გარემოს დაცვის სამინისტროს უმოქმედობაში და პასიურობაში როგორც წარსულში, ისე მიმდინარე პროცესებში. მან განაცხადა, რომ გარემოს დაცვა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება არის გარემოს დაცვის სამინისტროს ფუნქცია და არავინ უშლის ამ სამინისტროს კოდექსის შემუშავებაში მონაწილეობას.

მინისტრმა განაცხადა, რომ შემოთავაზებული რეფორმები დაარეგულირებენ უკანონო ჭრების პრობლემას, რადგან შეუძლებელი გახდება უკანონო/უსაბუთო მასალის გაყიდვა. 1 სექტემბრიდან ეს გახდა ფინანსური და არა მხოლოდ გარემოსდაცვითი დანაშაული; მერქნული მასალის გაყიდვა დაექვემდებარება იგივე რეგულაციებს, როგორსაც, მაგალითად, ბენზინის გაყიდვა. გასაღების ბაზარზე კონტროლის დაწესებით მოხდება უკანონო ჭრების აღკვეთა. მან განაცხადა, რომ მას დროის სხვა შეგრძნება აქვს და ასე რომ არ ყოფილიყო, დღეს დენი არ გვექნებოდა. მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ რაც უფრო მალე დამტკიცდება ეს პროექტი მით უფრო მალე გაიზრდება სამუშაო ადგილები.

მინისტრმა განაცხადა, რომ კანონმდებლობით უფლება აქვს არ დაასახელოს იმ ექსპერტების ვინაობა, ვინც მუშაობდა კანონის პროექტზე. მან ასევე აღნიშნა, რომ დღეს კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა საქართველოში. განსაკუთრებით ტყის მენეჯმენტში. მაგრამ მომავალში შეიცვლება სიტუაცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე აზრი გამოთქვეს:

ქეთევან გაბიანმა (კოალიცია „ევროპული საქართველოსთვის“ წარმომადგენელი): განაცხადა, რომ უნდა მიეცეს მესაკუთრეს უფლება ტყეში დარგოს იმ სახეობის მცენარე, რაც თვითონ უნდა, არ შეეზღუდოს საზღვარგარეთიდან უცხო ჯიშების შემოტანის საშუალება. მისი აზრით, კერძო მესაკუთრე, ის ვინც ფულს დებს ტყეში, არ დაუშვებს ტყის მდგომარეობის გაუარესებას. ქ.გაბიანის ამ გაცხადებას მინისტრი ასე გამოეხმაურა: ეს არ იქნება მდგრადი გამოყენების პრინციპის შესაბამისი და ამ საკითხთან დაკავშირებით მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელი უკეთესად გასცემდა პასუხს.

კახა ბახტაძემ (CENN) აღნიშნა, რომ საქართველოში გახშირებულია მეწყრული პროცესები, რომელიც ტყის გაჩეხვითაა გამოწვეული და ამას საკუთრებაში გადასვლა ვერ დაარეგულირებს. ასევე აღნიშნა, რომ პიტერ ჰერბსტი მუშაობდა ტყის აღდგენის პროექტზე 2007 წელს, რომელსაც აფინანსებდა BP და ეს პროექტი ჩავარდა. ბახტაძეს ამ კომენტარზე უპასუხეს, რომ ეს ასე არ არის, უფრო მეტიც ეს პროექტი არ ჩავარდნილა და ძალიან აქტუალური პროექტია. ბახტაძემ კი აღნიშნა, რომ შემდგომ შეხვედრაზე ფაქტებით და სურათებით დაამტკიცებდა ამ ფაქტს.

ნანა ჯანაშიას (CENN) თქმით, გარემოს დაცვის სამინისტროს საერთოდ არ ჰქონდა ინფორმაცია ამ კოდექსთან და რეფორმასთან დაკავშირებით. მან ეს შეიტყო თავად გარემოს დაცვის მინისტრის გოგა ხაჩიძისგან. ჯანაშიას გამოსვლის საპასუხოდ ხეთაგურმა განაცხადა, რომ ამ შეკითხვას იგი თავად დაუსვამს მის კოლეგას - გარემოს დაცვის მინისტრს. მან განაცხადა, რომ პირადად ძალიან გააკვირვებდა ყველას ამ კვირის ბოლოს, ყველა ნახავდა მათი კონსულტაციის შედეგებს.

გიორგი ქავთარაძემ (სატყეო ინსტიტუტი) განაცხადა, რომ პროექტი მისაღებია კონცეპტუალურად და ინსტიტუტი მზად არის ჩაერთოს განხილვებში. საკუთრების ფორმებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ გაუგებარია, რატომ არის მიუღებელი პროვატიზება; მისი აზრით, გრძელვადიანი იჯარა შეიძლება იყოს გარდამავალი ეტაპი პრივატიზაციამდე.

ლევან ჩოლოყაშვილი (კოალიცია „ევროპული საქართველოსთვის“ წარმომადგენელი): ის მიესალმა იმას, რომ ტყის შენარჩუნების საკითხები ჩადებულია პროექტში. მას მიუღებლად მიაჩნია იჯარის ეს ფორმა, ვინაიდან, ნებისმიერ პირს, ნებისმიერ დროს შეუძლია შესვლა (ჭრა, ძოვება და ა.შ.) არაკომერციული მიზნით გამოყენება. ეს მოიჯარეს უკარგავს საკუთრების შეგრძნებას. მისი აზრით, არ უნდა გავექცეთ იმას, რომ ტყე საკუთრებაში გადავცეთ მთლიანად. მისი ინფორმაციით, არსებობდა პროექტი (რომელიც სამწუხაროდ არ განხორციელდა), რომელიც გულისხმობდა თითოეული ტყითმოსარგებლისათვის თითო ჰექტარი ტყის ჩუქებას, ხოლო დანარჩენი ტყეების პრივატიზაციას.

პასუხად, პიტერ ჰერბსმა განაცხადა, რომ ლაპარაკია ტრადიციული სარგებლობის უფლებაზე და არა იმაზე, რომ თბილისიდან ჩავა ვინმე და გამოიყენებს მოიჯარის ტყეს. მთავარი პრობლემა ტყის მენეჯმენტის საკითხში ადგილობრივებისთვის იქნება ინფრასტრუქტურის არარსებობა.

მიხეილ თავხელიძე (კოალიცია „ევროპული საქართველოსთვის“ წარმომადგენელი): მისი აზრით, სამინისტრო ძალიან აჩქარებს პროცესს, რაც არ არის სწორი. ევროკავშირის რეგულაციები ხშირ შემთხვევაში არ არის მისაღები და ტყის საკითხები ერთ-ერთი მათგანია, სადაც ეს რეგულაციები საქართველოს არ გამოადგება. მისი თქმით, წარმოდგენილი პროექტი ძალზე ბევრ რეგულაციებს გულისხმობს მოიჯარისათვის, ეს კი კლავს სტიმულს (incentive) კომერციული მომხმარებლისთვის. მისი თქმით, კარგი იქნება ტყეები დაიყოს და ის ტერიტორიები, სადაც სარგებლობა არ დააზიანებს გარემოს, დაექვემდებაროს პრივატიზებას, დანარჩენებზე კი სახელმწიფომ განახორციელოს რეგულაცია.

პრივატიზებასთან დაკავშირებით მინისტრმა განაცხადა, რომ ტყის პრივატიზაცია ყველაზე კარგი გამოსავალია, მაგრამ ჯერ ამისათვის საზოგადოება მზად არ არის და ამ ეტაპსაც გარკვეული დრო სჭირდება; თუმცა მთავრობა ამისთვის მზად არის.

განხილვის შემდგომ პროცედურებთან დაკავშირებით მინისტრმა განაცხადა, რომ დოკუმენტი ქართულად მხოლოდ მას შემდეგ დაიბეჭდება, როდესაც დაინიშნება საჯარო განხილვა და

დოკუმენტი პარლამენტში წარსადგენად იქნება მზად. შემდეგ წარიმართება პოლიტიკური პროცესი პარლამენტში, მაგრამ ეს არ გაგრძელდება თვეები და წლები. მისი თქმით, პროცესი გაგრძელდება დაახლოებით თვენახევარი. მისი განცხადებით, მას აქვს საკუთარი გრაფიკი, რითაც აფასებს მისი მუშაობის ეფექტურობას. მისი აზრით, გამოქვეყნებიდან 10 დღე საკმარისია განხილვისთვის; ოქტომბრის დასაწყისისთვის სამინისტრო მზად იქნება კანონპროექტის პარლამენტში წარსადგენად. მინისტრის განცხადებით, იდეალური კანონის შექმნა შეუძლებელია; იდეალური ტყის კანონი არ აქვს არც ერთ ქვეყანას მსოფლიოში. ის დარწმუნებულია, რომ დღეს არსებულთან შედარებით, წარმოდგენილი პროექტი უკეთესია და უფრო ცივილურია.

<u>სხვა დეტალები</u>

2011 წლის 3 ოქტომბერს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ თავის ოფიციალირ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა განცხადება 13 ოქტომბერს ტყის შესახებ კანონის საჯარო განხილვასთან დაკავშირებით. განსახილველად გამოქვეყნდა საქართველოს კანონის „ტყის შესახებ“ პროექტი. ახალ ვერსიაში შეცვლილია კანონის სათაური (წინა განხილვებზე ეწოდებოდა „ტყის კოდექსი“), ასევე ზოგიერთი დეტალი, თუმცა ძირითადი მიმართულებები შენარჩუნებულია.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: პირველ შეხვედრაზე მინისტრმა განაცხადა, რომ ახალ კანონში FSC-თან დაკავშირებული მოთხოვნები ჩაიდებოდა, რაც იმის გარანტია იქნებოდა, რომ იჯარით გაცემის მერე ამ ვალდებულებისგან აღარ გათავისუფლდებოდა მოიჯარე. საბოლოო ჯამში, როგორც განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, FSC-თან დაკავშირებული მოთხოვნები ჩადებული იქნება მხოლოდ იჯარის ხელშეკრულებაში, რომელიც მინისტრის ბრძანებით მტკიცდება და პრაქტიკულად, იურიდიული თვალსაზრისით ძალზე ადვილი იქნება ამ მოთხოვნების გაუქმება და საიჯარო პირობების შემსუბუქება.

ამასთანავე, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსებრივი რესურსების სამინისტრომ უკვე შექმნა თავისი ოფიციალური ვებ-გვერდი, სადაც მოუწოდებს ინვესტორებს ახალი პირობებით (რომელიც მოცემულია ტყის კანონპროექტში და ჯერ პარლამენტს არც კი განუხილავს ოფიციალურად) აიღონ ტყე 50-წლიანი იჯარით.

იხ.: http://minenergy.gov.ge/uploads/presentation/index.html?PHPSESSID=cdb9b6bd5a35f988bdb27ee6019117fa

2. <u>ნადირობის კანონმდებლობის ცვლილებები</u>

2011 წლის აგვისტოს ბოლოს ორჰუსის ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტი, რომელიც გვთავაზობს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველებისა და მცენარეების გარემოდან ამოღების ახალ წესებსა და პროცედურებს. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის არსებული კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს ბუნების დაცვასა და მდგრად გამოყენებას და ცვლილებებს საჭიროებს, სამწუხაროდ, კანონპროექტით შემოთავაზებული ცვლილებებით არათუ ვერ მოგვარდება, არამედ უფრო გამწვავდება არსებული პრობლემები - დამძიმდება ბიომრავალფეროვნების მდგომარეობა, ხოლო დაცული ტერიტორიების განვითარებაში დღემდე მიღწეული წარმატებები და საერთაშორისო აღიარება უკვალოდ გაქრება.

გამოვყოფთ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს, რომლებიც არ შეესაბამება მდგრადი განვითარების თანამედროვე პრინციპებს, ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს და ევროკავშირის დირექტივებს. კერძოდ, კანონპროექტი ითვალისწინებს:

- გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების მოპოვებას კომერციული მიზნით;
- ნადირობას დაცულ ტერიტორიებში, მათ შორის ეროვნულ პარკებში;
- იშვიათი და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების საბინადრო გარემოს განადგურების შესაძლებლობის დაკანონებას.

ამასთანავე, სრულიად ბუნდოვანია ნადირობის უფლების გაცემის პროცედურები, მოპოვების კვოტებისა და არეალების დადგენის წესები; "წითელი ნუსხისა" და სხვა სანადირო სახეობების უკანონო მოპოვების შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება პრაქტიკულად უქმდება; "წითელი ნუსხის" სახეობებთან დაკავშირებით კონტროლის ვალდებულება ეკისრება გარემოს დაცვის სამინისტროს, რისთვისაც მას არანაირი რესურსი არ გააჩნია და არც ამ კანონპროექტით იგეგმება მისი ფინანსური და სტრუქტურული გაძლიერება.

კანონპროექტის ამ სახით მიღება მკვეთრად გააუარესებს არსებულ არასახარბიელო ვითარებას:

- კომერციული მიზნით "წითელი ნუსხის" სახეობების მოპოვების დაკანონება მათ სრული მოსპობის საფრთხის წინაშე დააყენებს;
- ეროვნული პარკები, რომლებსაც ქვეყნის მასშტაბით ისედაც მცირე ფართობი უკავიათ, პრაქტიკულად დაკარგავენ ველური ბუნების რეზერვუარის ფუნქციას, მოისპობა მცირერიცხოვანი სახეობების გამრავლებისა და ბუნებაში შენარჩუნების თეორიული შანსებიც კი;
- გამოუსწორებელი ზიანი მიადგება ეროვნული პარკების ეკოტურისტულ და საგანმანათლებლო ფუნქციებს; ავტომატურად შემცირდება ეკოტურისტების რაოდენობა, რაც უარყოფითად აისახება ეროვნული პარკების მიმდებარე მოსახლეობის დასაქმებასა და შემოსავლებზე.

კანონპროექტთან დაკავშირებით განცხადებები გააკეთეს ორგანიზაციებმა WWF Caucasus PO, NACRES და მწვანე ალტერნატივამ. მათ მოუწოდეს თავი შეეკავებინათ აღნიშნული სახით კანონის მიღებისგან. მწვანე ალტერნატივამ შესთავაზა პარლამენტს, ამჟამად არსებული ხარვეზების გამოსწორება დაეწყო გზშ კანონმდებლობის ცვლილების გზით. გარდა განცხადებისა, მწვანე ალტერნატივამ პარლამენტს წარუდგინა დეტალური შენიშვნები და კომენტარები კანოპროექტზე (27.09.2011).

მწვანე ალტერნატივამ ასევე სარჩელი შეიტანა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში და მოითხოვა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 1 სექტემბრის N175 ბრძანების გაუქმება, რომლითაც დამტკიცდა „ნადირობას დაქვემდებარებული ცხოველთა სახეობები“. მწვანე ალტერნატივას მიაჩნია, რომ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ბრძანება საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გამოსცა, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

2011 წლის 28 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის წევრმა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზაალ გამცემლიძემ, რადიო „მწვანე ტალღის“ ეთერში (გადაცემაში მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები), ოფიციალურად განაცხადა, რომ პარლამენტში გაიმართა დისკუსია ამ კანონპროექტის თაობაზე; უმრავლესობა იზიარებს გარემოსდამცველთა შეშფოთებას და არ უჭერს მხარს ამ კანონპროექტს.

მიუხედავად აღნიშნულისა, ზემოთ აღწერილი პროცესების პარალელურად, ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის მინისტრმა 29 სექტემბერს გამოსცა შესწორებები ბრძანებაში, რომლითაც ა.წ. 1

სექტემბერს დამტკიცდა სანადირო სახეობების ნუსხა. შესწორებულ ვერსიაში კიდევ რამოდენიმე სახეობა შევიდა, რომლებზეც მანამდე ნადირობა არ იყო დაშვებული.

3. <u>სხვა თანმდევი სამთავრობო ინიციატივები:</u>

ყურადსაღებია, რომ გარდა ზემოთ აღნიშნულისა, უკანასკნელ პერიოდში ადგილი აქვს პროცესებს, რომლებმაც შესაძლებელია ძლიერი უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ ბიომრავალფეროვნების მდგომარეობასა და დაცული ტერიტორიების განვითარებაზე საქართველოში.

მთავრობამ მიიღო რიგი დადგენილებები, რომლითაც გამარტივდა წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული რეგულაციები და შემსუბუქდა ბუნებრივი რესურსების გამოყენების ლიცენზიანტების მიერ შესასრულებელი გარემოსდავითი მოთხოვნები. მაგალითისთვის, ლიცენზიანტების მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელი იქნება ლიცენზიით დაფარული ფართობების შეცვლა, თუ ლიცენზიანტის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩნდა, რომ რესურსის მარაგი არ არის საკმარისი.

გარემოს დაცვის სამინისტრომ პარლამენტში წარადგინა ორი კანონპროექტი, რომლებიც ითვალისწინებენ ცვლილებების შეტანას „თბილისის ეროვნული პარკის შესახებ“ და „კოლხეთის ეროვნული პარკის შესახებ“ კანონებში. ამ ცვლილებების ინიცირება მოხდა თბილისის შემოვლითი რკინიგზისა და ფოთი-ანაკლიის ავტომაგისტრალის პროექტების გამო. ამ პროექტების გამო ეროვნულ პარკებში ხდება ზონების ცვლილება და იქმნება „მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები“. ბუნებისთვის განსაკუთრებით საზიანოა კოლხეთის ეროვნული პარკის ზონირების ცვლილება, ვინაიდან ცვლილება საშუალებას იძლევა, რომ მკაცრად დაცულ ტერიტორიას იმგვარად შეეცვალოს სტატუსი, რომ პრაქტიკულად მოეხსნას დაცვითი რეჟიმი, რათა პროექტის შედეგად ჰაბიტატების განადგურება არ იყოს კვალიფიცირებული, როგორც“კოლხეთის ეროვნული პარკის შესახებ“ კანონის დარღვევა. კანონები პარლამენტში შეტანილი იქნა წინასწარი საჯარო განხილვების გარეშე.

მთავრობამ მოახდინა რამდენიმე მსხვილი ენერგოპროექტის ინიცირება. მათ შორის ყაზბეგის რაიონში დარიალის ხეობაში ორი ჰესის მშენებლობა. მიუხედავად იმისა, რომ პროექტები ჯერ მხოლოდ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე არიან და ჯერ ნებართვა არ გაცემულა, ორივე პროექტის შემთხვევაში სამშენებლო სამუშაოები უკვე დაწყებულია. პროექტის შედეგად ძლიერ დაზიანდება რეგიონის ლანდშაფტური და ბიოლოგიური მრავალფეროვნება, ვინაიდან რეგიონის მთავარი მდინარე - თერგი - პრაქტიკულად წყლის გარეშე დარჩება. ორივე პროექტი ხორცილდება ყაზბეგის ეროვნული პარკის უშუალო სიახლოვეს.

თუ შევაჯამებთ არსებულ სიტუაციას, ისახება შემდეგი სურათი:

არსებული დაცული ტერიტორები ძლიერი დეგრადაციის საფრთხის წინაშე დადგებიან, თუ მიღებული იქნება ახალი რეგულაციები დაცულ სახეობებზე და დაცულ ტერიტორიებში ნადირობისა და ტყის სანიტარული ჭრების ჩატარების დაშვებასთან დაკავშირებით, ასევე, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის დაცული ტერიტორიების ზონირების შეცვლასთან დაკავშირებით;

ახალი დაცული ტერიტორიების შექმნა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება ქვეყნის ტერიტორიის 50-წლიანი იჯარით გაცემის გამო. პრაქტიკულად მთელი ტყეები, რომლებიც ამ მომენტისათვის არ შედის დაცულ ტერიტორიებში, გახდება სამეურნეო მნიშვნელობის და შესაძლებელი იქნება სამრეწველო ჭრების (მათ შორის პირწმინდა ჭრების) განხორციელება.